საქართველოს მთავრობის
განკარგულება №2425

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

გ. თაბუაშვილის, გ. კაკაურიძის, ნ. გაგუას, ც. ყავლაშვილის და ლ. ხუციშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები - გიორგი კაკაურიძე, ნიკოლოზ გაგუა, ცოტნე ყავლაშვილი და ლაშა ხუციშვილი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი.**